ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 7
18/03/2016

7-08-4-201603181826

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბერის №53 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **მუხლი 1.** დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

2. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **მუხლი 2.** დაევალოს იურიდიულ პირებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებს, მიიღონ საჭირო ზომები ბიუჯეტის შემოსავლების აუცილებელი შესრულებისა და ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

3.დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **მუხლი 3.** ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”.

4. დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **მუხლი 4.** დადგენილება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

5. დადგენილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16 მუხლები ამოღებულ იქნეს.

6.დადგენილების დანართის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა